აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34

05/09/2016 წელი **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,შ2“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის წესი და ვადები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველმა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს: კანდიდატის სახელი, გვარი, საკონტაქტო მისამართი, იმ საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება სადაც სურს წარმომადგენლობა და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს). განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის (რეგისტრაციის) მოწმობის ქსეროასლი; ბ) უმაღლესი განათლების (სამეცნიერო ხარისხის – თუ აქვს) დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
გ) კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება);
დ) ორი ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4.
ე) საარჩევნო მოხელის სერტიფიკატის ასლი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობის მსურველებმა უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საკადრო სამსახურს განცხადებით უნდა მიმართონ არაუგვიანეს 2016 წლის 6 სექტემბრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. (მის: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ N2, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა).

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა შესარჩევად შესაბამისი განცხადების გამოქვეყნებას.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის კანდიდატურების საბუთების შესწავლა და შერჩეულ პირთა წარდგენა უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის განხორციელდეს განცხადების შეტანის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს ორი დღისა.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი არ შეიძლება იმავდროულად იყოს: პარტიის წევრი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატი, სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებელი.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევა ხდება უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

7. თითოეულ კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე, არჩეულად ჩაითვლება ის პირი ვინც მეტ ხმას მიიღებს, ხმათა თანაბრობის შემთხვევაში ამ კანდიდატებს ხელახლა ეყრებათ კენჭი.

8. თუ პირველსავე სხდომაზე ვერ აირჩა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, წარდგენილ კანდიდატებს ხელახლა ეყრება კენჭი. თუ ვაკანსია კვლავ არ შეივსო, იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. თუ ვაკანსია კვლავ შეუვსებელი დარჩა წარმომადგენელთა შესარჩევი პროცედურა თავიდან იწყება.

9. N79 ბათუმის და N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიებში აირჩევა არაუმეტეს 2 წარმომადგენლისა. N81 ქობულეთისა და N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს თითო წარმომადგენელს. დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობას ახორციელებს ძირითად საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი.

მუხლი 2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების უფლებამოსილებები და დაფინანსების წესი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს:

ა) ევალებათ იმოქმედონ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი"„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;

ბ) უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შევიდნენ შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისა და კენჭისყრის შენობებში და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ უმაღლეს საარჩევნო კომისიას;

გ) არ აქვთ უფლება ჩაერიონ საარჩევნო კომისიის მუშაობაში;

დ) ევალებათ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების დავალებით ან/და უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების შესაბამისი მითითებების საფუძველზე შეისწავლონ საარჩევნო კომისიებში შესული განცხადებები/საჩივრები და მოკვლეული მასალები და ინფორმაცია მიაწოდონ დამვალებელ პირს, საჭიროებისამებრ კომისიის სხდომაზე განსახილველად;

ე) ევალებათ უმაღლესი საარჩევნო კომისიის ან/და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების მითითებების საფუძველზე, მოახდინონ საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევებზე პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ

ფაქტებთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციისა და მასალების შეგროვება და მათი დამვალებელი პირებისადმი წარდგენა;

ვ) ევალებათ შეასრულონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სხვა დავალებები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების საქმიანობა დაფინანსდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან, ერთჯერადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი